პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 56 (1692) ○ შაბათი, 9 მაისი, 1961 წ. ○ გამოცემის 30-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს გამარჯვების დღეა!

## დიდება საბჭოთა ხალხს, რომელმაც მკერდით დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარი

## საიუბილეო პლენუმი

გუშინ, თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საიუბილეო პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სიხარულიძე, რომელმაც მსმენელებს გააცნო საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობა 40 წლის მანძილზე.



როგორც ვიუწყებოდით, თბილისში იმყოფებოდნენ ჩომოლუნგმის დამპყრობნი — ჩინელი ალპინისტები, რომლებიც გაეცნენ საქართველოს ალპინისტების ცხოვრებას და დაათვალიერეს რესპუბლიკის თვალსაჩინო ადგილები.

სურათზე: გონ-ბო (მარცხნივ) და ვან ფუ-ჯოუ ესაუბრებიან მცხეთელ ბიჭუნას ნ. გიორგობიანს.

ფოტო ი. იუნაევისა.

## პირველი ნაბიჯი

კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა წინ ქართული ფოტოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში — თბილისის ოფიცერთა სახლში გაიხსნა ქართული მხატვრული ფოტოგრაფიის პირველი გამოფენა.

ეს საგულისხმო მოვლენა ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ცხოვრებაში მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტონაწარმოებები ცხადყოფენ, რომ ჩვენი ფოტორეპორტიორები, ფოტოგრაფიის ოსტატები და ფოტომოყვარულები საბჭოთა რეალიზმის სწორი გზით მიდიან ჩვენი სინამდვილის მხარდამხარ. მათ ნაწარმოებებში იგრძნობა ინდუსტრიული საქართველოს მაჯისცემა, საკოლმეურნეო სოფლის ძლიერი სუნთქვა და ის კულტურული ძვრები, რამაც თავი იჩინა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. რუსეცკის „უკანასკნელი რეისი", რომელზეც ასახულია გმირთა მოედანზე მიმავალი ცხენშებმული ნავთის ურიკა, საქართველოში მომხდარ გარდატეხათა სიმბოლური საწყისია ვ. ჩერკასოვის „ატომურ რეაქტორამდე". ან სადაა საჭაპანო ტრანსპორტის მოგონება, როცა გ. კიკვაძის „ქართული ელმავლების შენებას" ვუცქერთ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფოტოგრაფიის ოსტატები რატომღაც გაურბიან თავიანთი ძალების გამოცდას ფერად ფოტოგრაფიაში, გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტონაწარმოებებიდან სულ რამდენიმეა ფერადი.

სასიხარულოა ის გარემოება, რომ გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფიზკულტურასა და სპორტს. კომენტარებს არ საჭიროებს გ. გოგოხიას „ყველა ფეხბურთზეა", რომელზეც აღბეჭდილია ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ათასობით მანქანა. ყურადღებას იპყრობს ნ. ანასტასიევის „ძნელი მატჩის შემდეგ", რომელშიც ქოლგაწაფარებული გულშემატკივრები სიყვარულით აცილებენ გასახდელისაკენ მიმავალ ტალახში ამოსვრილ ფეხბურთელებს.

ფეხბურთის გულშემატკივართათვის სასიამოვნო სიურპრიზი დაუმზადებია ფოტორეპორტიორ მ. ზარგარიანს: გამოფენაზე წარმოდგენილია მ. მესხის ცნობილი ფინტის მთელი სერია. აქვეა მისი „ველორბოლა", „ქართული ჭიდაობა" და სხვა.

ველოსიპედისტთა შეჯიბრების კარგი მომენტი აქვს აღბეჭდილი ი. მღებრიშვილს. მნახველთა მოწონებას იმსახურებს ს. კოროტკოვის „სიჭაბუკე", ფ. კრიმსკის „ცხენბურთი", მ. საამოვის „ვირაჟთან".

ამაყად დგას უშბას მწვერვალზე ქართველი ალპინისტი, რომელიც გ. თიკანაძეს აღუბეჭდია ფირზე. კარგია ვ. ჭეირანოვის „ფინიშთან" და ჰ. შუსტერის „სისწრაფე".

პირველი ნაბიჯი გადადგმულია. მომავალში უკეთესს უნდა ველოდეთ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატებისაგან.

## მეორე საერთაშორისო

გუშინ, ბათუმში გაიმართა ქალთა საერთაშორისო ტურნირის X ტური. ტოგონიძემ მოუგო ტიხომიროვას, კაკაბაძემ — ლიტვინჩუკს, ჩაიკოვსკაიამ — კოზლოვსკაიას, ზვორიკინამ — ხუგაშვილს, როვანოვიჩმა — შილიეს. ასენოვასა და ნიკოლაუს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

გაფრინდაშვილი შეხვდა ერეტოვას. ამ დღეს ეს პარტია არ დამთავრებულა, იგი გადაიდო გაფრინდაშვილისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

## მატჩ-რევანში გრძელდება

გუშინ, მოსკოვის ესტრადის თეატრში შედგა მ. ტალისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის მორიგი შეხვედრა.

პარტია გადაიდო მ. ტალისათვის უკეთეს პოზიციაში.



სურათზე: მოსკოვის ესტრადის თეატრის სცენა. მაგიდას უსხედან მ. ტალი და მ. ბოტვინიკი.

## გადამწყვეტი მატჩის წინ

კალათბურთში ევროპის პირველობის ფინალში გავიდა 4 გუნდი: სსრ კავშირი, საფრანგეთი, იუგოსლავია, და ბულგარეთი. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მოუგო იუგოსლაველებს — 75:58, ხოლო საფრანგეთმა — ჩეხოსლოვაკიას — 66:62.

გასულ კვირას გაიმართა ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩები. დიდ ინტერესს იწვევდა ჩვენი კალათბურთელების შეხვედრა ბულგარეთის ნაკრებთან. საბჭოთა გუნდმა თამაში დაიწყო ასეთი შემადგენლობით: ვალდმანისი, ზუბკოვი, კორნეევი, ალაჩაჩიანი, ვოლნოვი. მატჩის პირველი წუთები მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და მხოლოდ შუა ტაიმში შეძლეს ჩვენმა კალათბურთელებმა ინიციატივის ხელში აღება. ვოლნოვისა და კორნეევის ტყორცნები ხშირად აღწევდნენ მიზანს. თამაშის პირველი ნახევარი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა — 36:22.

შესვენების შემდეგ სულ უფრო აშკარა გახდა საბჭოთა კალათბურთელთა უპირატესობა, რომლებმაც დაამარცხეს ძლიერი მეტოქე ანგარიშით 77:54.

## კორეელი ქალის ფენომენალური შედეგი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანი ქალი სინ კიმ დანი მსოფლიოს ჯერ კიდევ გასულ წელს, მოსკოვში გამართულ ძმები ზნამენსკების სახელობის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში გაიცნო. მან 800 მ. რბენაში მძაფრი კონკურენცია გაუწია საბჭოთა სპორტსმენებს და მხოლოდ 0,2 წამით წააგო უკრაინელ ლ. ლისენკო-შევცოვასთან, რომელმაც თავის მხრივ აჩვენა 2,04,3 და გააუმჯობესა ნ. ოტკალენკოს მიერ 1955 წ. დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 2.05,0.

როგორც ჩანს, კორეელი სპორტსმენის შედეგიც საკმაოდ აღემატება ნ. ოტკალენკოს რეკორდს, მაგრამ გამარჯვების სასწორი მაინც ლისენკოსაკენ გადაიხარა და სინ კიმ დანი მაშინ მეორე ადგილს დასჯერდა.

ახლახან სინ კიმ დანმა ფხენიანში გამართულ შეჯიბრებაზე 800 მ რბენაში აჩვენა ფენომენალური შედეგი—2.01,2 და ერთბაშად 3,1 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, მაგრამ იმის გამო, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ არის მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, სინ კიმ დანის შედეგი არ დამტკიცდება. მსოფლიო რეკორდად.



სურათზე: რესპუბლიკის ერთ-ერთი მზარდი მძლეოსანი გ. გუდაშვილი.

ფოტო ი. იუნაევისა.

# დრო არ ითმენს

საქართველოს მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადა კარზეა მომდგარი. თვეზე ნაკლები დარჩა სპარტაკიადის არაოფიციალურ გახსნამდე და დროის ეს მცირე მონაკვეთი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული იმ საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად, რამაც შეიძლება თავი იჩინოს სპარტაკიადის მსვლელობის პერიოდში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადა ძალთა გენერალური დათვალიერება იქნება მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადის წინ. სწორედ ამასთან დაკავშირებით რაიონულ, საქალაქო, საოლქო და ავტონომიურ რესპუბლიკებში სპარტაკიადის მიმდინარეობაზე იმსჯელეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტში თათბირზე მოწვეულმა ამხანაგებმა.

ქუთაისის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის გ. სვანიძის ცნობით დასასრულს უახლოვდება საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც 3 ქვეჯგუფად დაყოფილი სკოლების 4.000 სპორტსმენი მონაწილეობს. ამ დღეებში დამთავრდება შეჯიბრება წყალბურთში, ველორბოლაში, ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში. ჩატარებული მუშაობის შედეგად უკვე შეიძლება სავარაუდო პროგნოზების გაკეთება.

— მძლეოსნობის მხრივ კარგი მდგომარეობაა აფხაზეთში, — აღნიშნა აფხაზეთის განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორმა ხ. მამაცევმა.— კარგად გამოიყურებიან გალის, გუდაუთისა და გაგრის მძლეოსნები, რომლებიც ყველა სახეობას არ ედებიან და ცდილობენ მძლეოსნობის ისეთ სახეობათა არჩევას, რომლებშიც ჩასათვლელი ქულების მიღებაც შეიძლება და საერთოდ, რესპუბლიკური ნაკრების სუსტ უბნადაც ითვლება.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა ა. თედეევმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიადა მიმდინარეობს სპორტის ხუთ სახეობაში. რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ოლქის სპორტსმენი მოსწავლეები მთელ რიგ ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლებენ და ამით ეცდებიან წინა წლებში ჩავარდნის გამოსწორებას.

მაგიდის ჩოგბურთში ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი ნ. დოლუზოვი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეცადინეობა ძირითადად თვითნაკეთ მაგიდებზე და უხარისხო ბურთებით მიმდინარეობს. ეს გარემოება საგრძნობლად აფერხებს ნორმალურ წვრთნის საქმეს. რახან ერთი დეფიციტური საქონელი ვახსენეთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ მაღაზიებში არ იშოვება სარბენი ჩუსტები, ველოსაბურავები, ბურთები და ა. შ.

— თბილისში, მიმდინარე მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის 11 სახეობიდან უკვე დამთავრდა შეჯიბრება სპორტის 9 სახეობაში, — თქვა თათბირის მონაწილემ, თბილისის ცენტრალური სპორტსკოლის დირექტორმა დ. ფავლენიშვილმა. მან აღნიშნა, რომ შეჯიბრებები დანარჩენ სახეობებში დამთავრდება 20 მაისისათვის. კარგი მდგომარეობაა ცურვაში. საკმარისია ითქვას, რომ ცურვის ყველა სახეობაში მოსწავლე-სპორტსმენები წინა წლებთან შედარებით უკეთესად არიან მომზადებულნი და მეორე თანრიგზე უფრო მაღალი შედეგები აქვთ. შედარებით ცუდი მდგომარეობაა წყალბურთში, სადაც მოსწავლე სპორტსმენები მოკლებული არიან კვალიფიციურ მწვრთნელებს. რაც შეეხება სროლას, აქ ყველაზე ძლიერად პისტოლეტით მსროლელები გამოიყურებიან. მოსალოდნელია, რომ სწორედ ამათგან დაკომპლექტდება რესპუბლიკის პისტოლეტით მსროლელთა ნაკრები გუნდი.

არასახარბიელო მდგომარეობა ნიჩბოსნობაში. წინა წლებისაგან განსხვავებით ამჯერად ნიჩბები გვაქვს, ხოლო ნავები—არა. ეს გარემოება სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს თბილისელთა გუნდს მოსწავლეთა XIII რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, რადგან სპორტის ამ სახეობაში გაცხოველებით და კარგად ემზადებიან რუსთავის, ფოთის, მცხეთისა და ბათუმის ნიჩბოსნები.

აი, ამ საჭირბოროტო საკითხებზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტში მოწვეულ თათბირზე. დრო კი აღარ ითმენს. საჭიროა ყველამ მეტი მონდომებით მოვკიდოთ ხელი რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისათვის მზადებას.

# სპორტი — ჩვენი ყურადღების ცენტრში!

## საგარეჯოელთა მოწოდება

ამას წინათ საგარეჯოში ჩატარდა რაიონული სპორტკავშირის კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა საგარეჯოს რაიონში ორი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ მიღწევებზე და ნაკლოვანებებზე, რომლებიც რაიონული სპორტკავშირის მუშაობაში არსებობს. კონფერენციაზე მიღებულ იქნა რაიონის ფიზკულტურული აქტივის მიმართვა რაიონის ყველა ფიზკულტურელისა და სპორტსმენისადმი. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ მიმართვას:

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში ახლა უდიდესი შრომითი აღმავლობის დღეებია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი გმირულ შრომას ეწევა შვიდწლედის მესამე წლის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. შრომითი გამარჯვებით შევხვდეთ ჩვენი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს, შრომაში ახალი გამარჯვებანი ვუპატაკოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას! ასეთია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დევიზი. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, რომ ყოველდღიურად ავამაღლოთ ჩვენი სპორტული ოსტატობა. თვითეული სპორტსმენი-თანრიგოსანი მოამზადებს 2-3 სპორტსმენ-თანრიგოსანს. ვიბრძოლებთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. მიმდინარე წელს შევაკეთებთ 4 სპორტულ მოედანს, გავაკეთებთ 10 ახალ სპორტულ მოედანს. მივაღწევთ იმას, რომ ყველა სოფელს ჰქონდეს სპორტული ბაზა. ახლა, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმმა ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს უდიდესი ამოცანები დაუსახა მარცვლეულის წარმოების გადიდების დარგში, ამ საქმეშიც ჩვენ განზე ვერ დავრჩებით. ჩვენ გვსურს შევიტანოთ წვლილი სიმინდის მოსავლიანობის გადიდებაში. ამიტომ ვიღებთ ვალდებულებას, რომ თვითეული ჰექტარიდან მიღებულ იქნას 100 ცენტნერი სიმინდი. გარდა ამისა, დამუშავდება 100 ჰექტარზე მეტი სასილოსე სიმინდი.

ჩვენ მოვუწოდებთ რაიონის ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს აქტიურად ჩაებას ახალგაზრდობის ამ დიდ მოძრაობაში არა მარტო სპორტულ სარბიელზე, არამედ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვისაც.



სურათზე: სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის კალათბურთელები ემზადებიან რაიონული სპარტაკიადისათვის.

ფოტო ხ. კრუტკოვისა.

## ნაკლოვანებათა მხილების ნიშნით

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს ამასწინანდელი გადაწყვეტილება გარდამავალი წითელი დროშის საქართველოს სპორტკავშირისადმი განმეორებით მიკუთვნების შესახებ, ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ფიზკულტურამ და სპორტმა ჩვენს რესპუბლიკაში ახალი აღმავლობა განიცადა. ცხადია, ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საქართველოს სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებსა და მათ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს — „კოლმეურნის" ცენტრალურ და რაიონულ საბჭოებს.

„კოლმეურნის" ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოპოვებულ წარმატებებზე ამას წინათ თბილისში გამართულ ცენტრალური საბჭოს მეორე კონფერენციაზე ვრცლად ილაპარაკა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა. კონფერენციის მუშაობის ამ ანგარიშში არ ვაპირებთ მოპოვებულ წარმატებათა ჩამოთვლას, ვინაიდან ეს ისედაც ცნობილია სპორტის გულშემატკივრებისათვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც განიცდის „კოლმეურნის" სპორტსმენთა მიღწევა-წარუმატებლობებს. გვსურს მკითხველებს მოკლედ მაინც შევატყობინოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს სოფლის სპორტსმენთა საქმიანობაში, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ხარვეზების აღმოფხვრაში.

სათანადო კონტროლის უქონლობისა და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში ცუდად არის დანერგილი ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა, ასეთთა რიცხვს სამწუხაროდ მიეკუთვნება ერთ დროს მოწინავედ ცნობილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობა, სადაც ინსტრუქტორად ა. რუხაძე მუშაობს, ვაზისუბნის კოლმეურნეობა (ინსტრუქტორი შ. კულულაშვილი), სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობა (ინსტრუქტორი ბ. ტურაშვილი), წითელი ოქტომბრის კოლმეურნეობა (ინსტრუქტორი ა. კოჯრიშვილი), წითელწყაროდან არხილოსკალოს კოლმეურნეობა (ინსტრუქტორი მ. ბექიშვილი) და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა ყვარლის, მარნეულის, თიანეთისა და სხვა რაიონების საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გავრცელება სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის საწარმოო ტანვარჯიშმა. დღეისათვის იგი მხოლოდ 12 ორგანიზაციაში ტარდება და მასში ჩაბმულია 2 ათასზე მეტი მშრომელი. რაისაბჭოების უმეტესობა იშვიათად ატარებს თავიანთ ღონისძიებებსა და არ გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მაგალითად, ცენტრალური საბჭოს მიერ გამართულ 22 ღონისძიებიდან სულ არ მიუღიათ მონაწილეობა ბოლნისის, თეთრი წყაროს, თერჯოლის რაიონების ფიზკულტურელებს, ხოლო ადიგენის, ასპინძის, ამბროლაურის, თიანეთის, ლენტეხის, ჩხოროწყუს, ჰიათურის, ხობის რაიონები თითო შეჯიბრებაში მონაწილეობით დაკმაყოფილდნენ.

სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურ სპარტაკიადას 13-მა რაიონმა აარიდა თავი, მათ შორის მცხეთის, ორჯონიკიძის, ქარელის, ყაზბეგის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ახმეტის და სხვა რაიონებმა. ადიგენის 26 საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაციიდან ფრენბურთის მოედანი აქვს 15-ს, ამბროლაურში 38-დან — 17-ს, ბორჯომში 36-დან — 10-ს, გორის რაიონში 56-დან — 18-ს და ა. შ.

ყველა ამის გამო იყო, რომ საანგარიშო-საარჩევნო კომპანიის პერიოდში ფიზკულტურელთა საერთო კრებებმა 170 შემთხვევაში მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს, რომელთა შორის 9 შემთხვევაში შეიცვალა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

სარევიზიო კომისიის ანგარიშით თავმჯდომარის მოადგილის ო. ლეჟავას გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი. საქმიანი წინადადებებით გამოვიდნენ „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხარტიშვილი, რომელმაც ილაპარაკა ოლქის ფიზკულტურული მუშაობის დონეზე.

ახმეტის რაიონის სოფ. ალვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. თედეშვილმა ილაპარაკა თუ როგორ ეხმარება იგი სოფლის ახალგაზრდებს, როგორ გაიზარდა მათი შრომითი მაჩვენებლები.

ლანჩხუთის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ბ. მოისწრაფიშვილმა ილაპარაკა მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი სამართლიანი მოთხოვნა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების პრაქტიკის კოლმეურნეობებში მოწყობის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), ნ. გვარლიანი (მესტია), ქ. სტეფანიანი (ახალციხე), კ. შამუგია (ზუგდიდი). კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა „კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის გ. ხაბალოვისა და მარნეულის რაისაბჭოს თავმჯდომარის ყ. მამედოვის გამოსვლამ, რომლებმაც რეგლამენტი მოანდომეს თავის ქებასა და არაფერი თქვეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მათს მუშაობაში არსებობს.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

კონფერენციამ აირჩია ცენტრალური საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ჟღენტი.



# ეტაპის ფინიში
## შედგა სპორტის სასახლესთან



საგაზეთო ანგარიშებში საერთოდ მიღებულია ლაპარაკი იმ სპორტსმენებზე, რომლებიც ან ლიდერობენ შეჯიბრებას, ან მოწინავეთა რიგებში იმყოფებიან. დღეს კი ჩვენს მკითხველებს ვესაუბრებით მათზე, ვინც შეუმჩნეველი იყო მაყურებელთათვის.

...მესამე ეტაპზე, რომელიც სურამის უღელტეხილის გამო ურთულესად ითვლება, დიდი გამბედაობა, ბრძოლისუნარიანობა და კოლექტივის ინტერესებისადმი თავდადება გამოამჟღავნა თბილისელმა ველოსიპედისტმა ე. იანჩევსკიმ. იმყოფებოდა რა ლიდერთა ჯგუფში, მას ნისლისა და ცუდი ხილვადობის გამო ავარია მოუხდა. უმრავლესობის აზრით ე. იანჩევსკი ვერ შეძლებდა რბოლის დამთავრებას, მაგრამ მან წარმატებით დაამთავრა ეტაპი და მეორე დღეს სტარტზე გამოცხადდა.

არანაკლები ვაჟკაცობა გამოიჩინა მეოთხე ეტაპზე „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა რ. გუძმა. შუალედებიანი სტარტის წარმატებით გავლის შემდეგ გუძი ენერგიულად მუშაობდა ძირითად ჯგუფში, რომელიც გორიდან თბილისისაკენ მოემართებოდა. მაგრამ გორიდან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მას მანქანა დაუზიანდა. გუძი ჩამორჩა ჯგუფს, რომელმაც ამ მომენტისათვის საგრძნობლად მოუმატა ტემპს. 20-25 კილომეტრი იარა გუძმა მარტოდმარტომ. ერთ მომენტში იგი თითქმის 200 მეტრით დაუახლოვდა ძირითად ჯგუფს, მაგრამ შეერთება მასთან მაინც ვერ შეძლო.

მალე გუძს შეუერთდა აზერბაიჯანელი ს. ალიბეკოვი და ეს წყვილი უფრო ენერგიულად შეუდგა ქარის წინააღმდეგობის დაძლევას. სულ მალე მანქანის დაზიანების გამო ჯგუფს ჩამორჩა ე. იანჩევსკიც, რომელსაც გუძთან და ალიბეკოვთან ერთად მოუხდა ბრძოლა ჯგუფის დასაწევად.

ახლა გამარჯვებულებზე. მეოთხე ეტაპი შუალედიანი სტარტით დაიწყო. ველოსიპედისტებმა სათითაოდ აიღეს სტარტი ხაშურში და გორისკენ გამოემართნენ. თავდაპირველ საკონტროლო ხაზს მოსწყდნენ სპორტსმენები, რომლებიც საერთო შედეგით უკანასკნელ ადგილებზე იმყოფებოდნენ. თვითეული ახალი მონაწილე ერთწუთიანი განსხვავებით მიჰყვებოდა წინწასულს.

პირველი მონაწილის — სომხეთის გუნდის წევრის ს. ვოსკანოვის წასვლის შემდეგ 81 წუთი გავიდა.

**სურათზე:** ველორბოლის მონაწილენი ზუგდიდში.

ბრძოლაში ჩაებნენ უძლიერესნი. სტარტი ერთი-მეორეზე დასტოვეს ვ. სემერგეიმ (აზერბაიჯანი), ტ. ავაქიანმა (სომხეთი), ე. ბირიუკოვმა, რ. გუძმა და ვ. სიკორსკიმ (ყველა საქართველო). პარქარის მიუხედავად მათ მაღალი სისწრაფე განავითარეს, მაგრამ ყველამ ერთნაირად ვერ შეინარჩუნა იგი. მალე შეანელეს ტემპი ბირიუკოვმა, სიკორსკიმ. მხოლოდ ავაქიანი მიდიოდა ძველებურად. როცა მონაწილეებმა დაამთავრეს რბოლა და მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები, გამოირკვა, რომ საუკეთესო დრო ჰქონდა სომხეთის გუნდის წარმომადგენელს ტ. ავაქიანს — 1.31.04,0. მეორე შედეგი აღმოაჩნდა რ. გუძს — 1:35.22,0, ხოლო მესამე—ვ. სემერგეის — 1:35.27,0.

მაგრამ ეტაპი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ველოსიპედისტებს ჰქონდათ გასავლელი საერთო სტარტით მანძილი გორიდან თბილისამდე, აქ დასაწყისშივე დაწინაურდნენ სამნი — ვ. იგნატიევი (აზერბაიჯანი), სომხეთის წარმომადგენელი ს. ოგანესიანი და თბილისელი ვ. საგოიანი. რამდენიმეჯერ სცადეს ძირითადი ჯგუფის წევრებმა მათი დაჭერა, მაგრამ ამაოდ. შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა პირველობისათვის თბილისის მისადგომებთან. ს. ოგანესიანმა შეძლო ლიდერობის ბოლომდე შენარჩუნება და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

**ნ. გუგუშვილი**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

ოთხი ეტაპის ჯამის მიხედვით რბოლას პირად ჩათვლაში ლიდერობს ტ. ავაქიანი (სომხეთი) — 12:42.34, მომდევნო ადგილებზე არიან რ. გუძი (საქართველო) — 12.45.55,0, ე. ბირიუკოვი (საქართველო) — 12:47.01,0. ვ. სემერგეი (აზერბაიჯანი) — 12:47.17,0, ვ. სიკორსკი (საქართველო)—12:49.56,0. ს. აკოფოვი (აზერბაიჯანი) — 12:52.30,0, ბ. მოროზოვი (აზერბაიჯანი) — 12:52.41,0, ე. სტარიკოვი (სომხეთი) — 12:52.54,0, ე. ამირბეკიანი (სომხეთი) — 12:55.41,0, ა. თავაძე (საქართველო) — 12:56.05,0.

გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკებს შორის (ჩათვლა 15 სპორტსმენის შედეგის მიხედვით) პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი — 194:48.06,0, მეორე ადგილზე — საქართველო — 194:54.37,0, მესამეზე — სომხეთი — 197:26.31,0.

# „ა“

ბიბლიოთეკა

I ქვეჯგუფი

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 2:2.

„სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:1

„დაუგავა“ (რიგა)-სკა (როსტოვი) — 1:1

„ტრუდი“ (ვორონეჟი)-„შახტიორი“ (ტალინი) — 0:0

II ქვეჯგუფი

„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„დინამო“ (კიევი) — 1:3

„ბელარუსი“ (მინსკი)-„სპარტაკი“ (ერევანი) — 1:1

„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 4:1

„კალევი“ (ტალინი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 1:2.

„დინამო“ (მოსკოვი)-ცსკა — 1:3

* * *

## კვლავ დამარცხება

**ხარკოვი.** 7 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ხარკოვის „ავანგარდი“ შეხვდა თბილისის „დინამოს“.

თბილისის დინამოელებმა კვლავ სუსტად ჩაატარეს თამაში და განიცადეს მესამე დამარცხება ზედიზედ ანგარიშით 0:1.

* * *

## გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 9 მაისისათვის**

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ მ. | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 10 |
| „ავანგარდი“ ხ. | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| სკა როსტ. | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 7 |
| „ნეფტიანიკი“ ბ. | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 7 |
| „ლოკომოტ“. მ. | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 6 |
| „დინამო“ თბ. | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| „ადმირალტ“. ლ. | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 5 |
| „დაუგავა“ რ. | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 4 |
| „ტრუდი“ ვორ. | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | 3 |
| „შახტიორი“ სტ. | 6 | 0 | 3 | 3 | 4:10 | 3 |
| „სპარტაკი“ ვ. | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 5 | 5 | 0 | 0 | 17:4 | 10 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 7 |
| „სპარტაკი“ მ. | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 6 |
| „დინამო“ მ. | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 6 |
| „კაირატი“ ა-ტა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:8 | 6 |
| „მოლდოვა“ კშ. | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 5 |
| „პახტაკორი“ ტაშ. | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 5 |
| „სპარტაკი“ ერ. | 6 | 1 | 3 | 2 | 11:13 | 5 |
| „ზენიტი“ ლ. | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | 5 |
| „კალევი“ ტ. | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | 2 |
| „ბელარუსი“ მნ. | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

# „ბ“ კლასში

## „ლოკომოტივი“ (თბილისი)- სკფ (ტალინი) — 2:0

7 მაისს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდების მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და სკფ (ტალინი).

მატჩი დაიწყო ცოცხლად, სწრაფ ტემპში. მცირე უპირატესობა, რომელიც თბილისელებს ჰქონდათ პირველი ათიოდე წუთის განმავლობაში, თანდათან ხელსახები გახდა და საბოლოოდ თამაშმა მიიღო ცალ კარში ვარჯიშის ხასიათი. ლოკომოტიველთა ტექნიკური და ფიზიკური უპირატესობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მათს შეტევებს ზოგჯერ განუწყვეტელი შტურმის ხასიათი ჰქონდა და გუნდის ნახევარმცველებს იშვიათად, ეპიზოდურად თუ უხდებოდათ საკუთარ ნახევარზე ჩამოსვლა დაცვითი ფუნქციების შესრულებისათვის, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მთელ ამ შეტევას, მოთამაშეთა ენერგიის ხარჯვას არავითარი აზრი არა ჰქონდა, ვინაიდან ფორვარდები აბსოლუტურ უვიცობას იჩენდნენ იერიშის საბოლოო ფაზაში, უაზროდ ატარებდნენ ბურთს ან ერთმანეთს აწოდებდნენ, არა მაშინ, როცა ამას შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა, არამედ მაშინ, როცა მოთამაშე ბურთის დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. სრულიად გამოთიშული იყო გუნდის საერთო გეგმას იაშვილი (№ 7), ერთიდაიგივე პრიმიტიული გარღვევებით მოქმედებდა ბურდინი (№ 11), ხოლო ახალკაცი (№ 9) და ცერცვაძე (№ 8) მხოლოდ უაზრო შეჯგუფებას ქმნიდნენ ცენტრში. ამაში მათ დიდად „ეხმარებოდნენ“ ნახევარმცველები მუმლაძე და სიამაშვილი. უკანა ხაზის მოთამაშეთაგან ყოველგვარი მოფიქრებისა და მისამართის გარეშე თამაშობდა კუჭავა.

ასეთ ქაოტურ „სტილში“ თამაშობდა დიდ ხანს „ლოკომოტივი“ და მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო ცერცვაძემ დავითულიანის მოწოდებიდან ბურთის გატანა. 89-ე წუთზე სტუმართა მცველებმა უხეშად ითამაშეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე და გაგუამ კარგად შეასრულა 11-მეტრიანი საჯარიმო. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

**ა. ლორია**

◆

## „დინამო“ (ბათუმი)- „სელმაში“ (ლიეპაია) — 2:1

დინამოელებმა კარგად დაიწყეს თამაში. მცველებმა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელები, ხოლო ფორვარდები ფართოდ გაიშალნენ მინდვრის მთელ სიგანეზე და აიძულეს „სელმაშის“ დაცვის წევრები ერთმანეთისაგან დიდი დაცილებით ემოქმედათ. სტუმრების თავდასხმას დიდი ბრძოლა უხდებოდა ყოველი ბურთის მისაღებად, ხოლო დინამოელებს გაცილებით მეტი ჰქონდათ თავისუფალი მანევრებისა და ბურთის დამუშავების საშუალება.

მაგრამ მიუხედავად ამ სერიოზული უპირატესობისა, ბათუმელებს დიდი დრო დასჭირდათ ანგარიშის გასახსნელად. მთელი რიგი გამოუყენებელი მომენტების შემდეგ გათამაშდა კომბინაცია მენაბდე-შაფათავა-ჩხარტიშვილი, რომელიც ამ უკანასკნელმა დაამთავრა გოლით — 1:0.

გაცილებით უფრო აქტიურად თამაშობდა „სელმაში“ მეორე ტაიმში, რასაც დაემატა ისიც, რომ მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ. 25-ე წუთზე სტუმრებმა კარგად გამოიყენეს შეცდომა მოწინააღმდეგის დაცვაში და გაათანაბრეს ანგარიში — 1:1.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოასწორეს დინამოელებმა თამაში, დაიბრუნეს დაკარგული ინიციატივა და ჩხარტიშვილმა 37-ე წუთზე უძლიერესი დარტყმით გაიტანა ბურთი, რომელმაც ბათუმელთა გუნდს მოუტანა გამარჯვება — 2:1.

**ვ. მოსეშვილი**

☆



**სურათზე:** მომენტი განვლილი მატჩიდან ბათუმის „დინამოსა“ და რიგის რეზ-ს შორის. ვ. ჩხარტიშვილს გააქვს მეორე გოლი.

ფოტო ა. ტულუშისა.

## „რიწა“ (სოხუმი)- რეზ-ი (რიგა) — 1:1

7 მაისს სოხუმის „რიწამ“ თავის მინდორზე მიიღო პირველი ზონის ერთ-ერთი გამოცდილი გუნდი რეზ-ი.

სოხუმელებმა კარგად დაიწყეს თამაში და მალე გახსნეს კიდეც ანგარიში. მცირე ხანს შემდეგ მათ მიეცათ მეორე ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა: კართან გასული ზარდანია „მოცელეს“ რიგელთა მცველებმა და მათს კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. გრამატიკოპულოს მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება შეძლო რეზ-ის მეკარემ.

ასევე ვერ იყენებდნენ ანგარიშის გაზრდის კარგ შესაძლებლობებს „რიწის“ თავდამსხმელები მეორე ტაიმში, სამაგიეროდ რიგელებმა გოლით დაამთავრეს თავიანთი ერთ-ერთი კონტრიერიში და მიაღწიეს ფრეს — 1:1.

**ზ. გვილავა**

◆

**აშხაბადი.** 7 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ აშხაბადის „კოპეტ-დაგი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ანგარიშით 2:1.

* * *

**სტალინაბადი.** ამავე დღეს სტალინაბადში თამაშობდნენ ადგილობრივი „ენერგეტიკი“ და რუსთავის „მეტალურგი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.




თბილისელებს ფ. რუხაძეს და ზ. კვეტენაძეს აინტერესებთ „საჭიროა თუ არა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლის ყოფნა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც ნაჩვენები იქნება სარეკორდო შედეგი".

ასეთი რამ აუცილებელი არ არის. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სპორტული სიარული. სამაგიეროდ, საერთაშორისო ოფიციალური შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიაში აუცილებლად უნდა იყვნენ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლის ტერიტორიაზეც ტარდება ეს შეჯიბრება.

* * *

„რამდენჯერ დაამარცხეს საბჭოთა მძლეოსნებმა ამერიკელები და რა ანგარიშით" გვეკითხება კ. სურმავა გეგეჭკორიდან.

1958 წლის ივლისში მოსკოვში გამართულ ამ ორი ქვეყნის მძლეოსანთა მატჩში გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა — 172:170. მაშინ ამ დამარცხებას ამერიკელები იმით ხსნიდნენ, რომ მათს გუნდში არ იყვნენ მოროუ, გუტოვსკი, ბელი და ბოუდენი, მაგრამ შემდეგ წელს ფილადელფიაში გამართულ მატჩ-რევანშში მასპინძლები უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 167:175. რომის ოლიმპიურ თამაშებზე ამ ორი ქვეყნის მძლეოსანთა ძალთა შეფარდება ასეთი იყო — 168:162 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

* * *

**ქუთაისელი მოსწავლეები გ. მესხი, ა. კილტავა და ი. ბედინეიშვილი გვეკითხებიან: „ვინ არიან ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდების მფლობელები 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში და როგორია მათი მონაცემები".**

3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ორივე რეკორდი ეკუთვნის ცნობილ მძლეოსანს პოლონეთის არმიის კაპიტანს ზ. კშიშკოვიაკს. მსოფლიო რეკორდი მან დაამყარა ტულაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე — 8.13,4. ოლიმპიური რეკორდი კშიშკოვიაკმა დაამყარა რომის თამაშებზე — 8.34,2.

* * *

ჩვენს რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები, სადაც სპორტის მოყვარულები კვლავ და კვლავ გვეკითხებიან იმას, რაზეც პასუხი ან განმარტება უკვე იყო დაბეჭდილი გაზეთში.

მაგალითად, შემოდის ამგვარი ერთიდაიგივე შინაარსის მრავალი შეკითხვა: ვინ ითვლება უძლიერეს მეკარედ მსოფლიოში? ვინ ითვლება უძლიერეს ფეხბურთელად მსოფლიოში?

ამ შეკითხვაზე ერთხელ კიდევ ვპასუხობთ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას არა აქვს ოფიციალური კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავდა მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელს, სულ ერთია, იქნება ეს მეკარე, თუ მარცხენა შუამარბი.

ერთადერთ გამოსავალ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. „მსოფლიოს იდეალური ნაკრები", „ჩვენი პლანეტის ნაკრები", რომელსაც ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ადგენენ ცნობილი სპეციალისტები და ავტორიტეტები. მაგრამ ასეთი „იდეალური ნაკრებიც" ერთობ სუბიექტურია და არაოფიციალურიც, ამიტომ იგი საზომად ვერ გამოდგება.

ყველაფერი ამის გამო მკითხველმა შეუძლებელია მიიღოს კონკრეტული პასუხი შეკითხვაზე: ვინ არის უძლიერესი ფეხბურთელი მსოფლიოში. სულ სხვა საქმეა, თუ ასეთი შეკითხვებით მივმართავთ ცალკეულ სპეციალისტებს, მწვრთნელებს, მიმომხილველებს. მათ შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი, საკუთარი შეხედულება.

გარდა ამისა, არის შეკითხვათა მთელი კატეგორია, რომლებზეც ყოვლად შეუძლებელია პასუხის გაცემა აი, მაგალითად, შემოვიდა ასეთი შეკითხვა: იქნება თუ არა წელს კარგ ფორმაში ზ. კალოევი? რამდენი 11-მეტრიანი საჯარიმო ბურთი აქვს დარტყმული თავისი ცხოვრების მანძილზე ა. ღოღობერიძეს? ვინ ითამაშებს თბილისის „დინამოში" მარჯვენა ნახევარმცველად და მარცხენა შუამარბად? რამდენი მატჩი აქვს ნათამაშევი თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში ბრაზილიელ დიდის? რამდენი გოლი შეიძლება იქნას გატანილი ერთ თამაშში?



ჯერ ერთი, ასეთი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება არც ჩვენ და არც მათ, ვის მიმართაც დასმულია ეს შეკითხვები. არც ვინმეს შეუძლია ოფიციალური წინასწარმეტყველის როლი შეასრულოს ფეხბურთში. გარდა ამისა, არც თუ ისე საინტერესოა ეძებო, თუ რამდენი მატჩი აქვს ნათამაშევი დიდის. შეკითხვებს უნდა ჰქონდეს უფრო ფართო, შინაარსობრივად საინტერესო ხასიათი.

* * *

**დ. მურვანიძე ხულოდან გვწერს: „დამთავრდა სათხილამურო სეზონი, გთხოვთ გვიპასუხოთ ვინ არიან მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურენი 1960 წლის შედეგების მიხედვით".**

მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაცია ყოველწლიურად ადგენს მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურეთა სიას. 1960 წლის სეზონის მიხედვით უძლიერესთა სიებს მეთაურობენ ქალთა სწრაფდაშვებაში: ფრანგი დიუვილიარი, გიგანტურ სლალომში — შვეიცარელი შტაუმი და სლალომში — ავსტრიელი ჰნასლეიტერი. ვაჟთა შორის სწრაფდაშვებაში პირველ ადგილზეა ავსტრიელი ჰეხერი, გიგანტურ სლალომში — ლედიუკი (საფრანგეთი) და სლალომში — ვაზერი (შვეიცარია).

* * *

ფეხბურთის მოყვარულები კ. ჩხაიძე და ქ. მახარაძე გვეკითხებიან, როგორია თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდების ბალანსი სსრ კავშირის პირველობათა მატჩებში.

სპარტაკელებმა მოიგეს 20 შეხვედრა, ხოლო თბილისელებმა — 14. ფრედ დამთავრდა 5 მატჩი.

* * *

**ამხ. თ. ლაბაძე ქ. ჭიათურიდან გვწერს: 1961 წლის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში გაუქმდა გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება და დაწესდა სხვაობა. მაინტერესებს, ასეთივე პრინციპით ჩატარდება თუ არა ჩილის 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი?**

არა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ხელმძღვანელობს ძველი წესით — ბურთების შეფარდებით.

* * *

**დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე არველაძე გვთხოვს მოკლედ გავაცნოთ გროსმაისტერ რ. ფიშერის სპორტული ბიოგრაფია.**

რობერტ ფიშერი, რომელსაც მოფერებით ბობის უწოდებენ, დაიბადა 1943 წელს ნიუ-იორკში. ჭადრაკის თამაში მან ისწავლა 8 წლის ასაკში. პირველად ფიშერმა ყურადღება მიიპყრო 1958 წლის დამდეგს, როცა მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის წოდება.

1958 წლის შემოდგომაზე ფიშერმა მონაწილეობა მიიღო პორტოროჟის საზონათშორისო ტურნირში, სადაც მ. ტალის, ტ. პეტროსიანის, ს. გლიგორიჩისა და ფ. ოლაფსონის შემდეგ პ. ბენკოსთან გაიყო V-VI ადგილი. ამ წარმატებისათვის 15 წლის ფიშერს მიენიჭა გროსმაისტერის მაღალი წოდება.

საერთო აღიარებით ფიშერი დიდი ნიჭის მოჭადრაკეა. ბოტვინიკის აზრით ფიშერი მსოფლიო ჩემპიონის სახელის ყველაზე სერიოზული კანდიდატია. მისი თამაში კლასიკურ სტილს მიეკუთვნება. მან შესანიშნავად იცის საჭადრაკო თეორია, კარგად იცნობს საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურას.

## ტრადიციული მატჩი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებ გუნდს სპროტული მეგობრობა აკავშირებს საქართველოს სსრ პროკურატურის მოჭადრაკეებთან. ისინი, როგორც წესი, ყოველ წელს ხვდებიან ერთმანეთს ამხანაგურ მატჩებში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მიმდინარე წლის შეხვედრამ, რომელიც ამას წინათ შედგა პროკურატურის კლუბში. გუნდები „მინდორზე" ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ა. ჩაიკოვსკაია, ლ. ნაჭყებია, ქ. გოგიავა, ნ. მანველოვა, მ. ჩომახიძე, ლ. წეროძე; პროკურატურის ნაკრები — ლ. ზაიჩიკი, ო. ჯიბლაძე, რ. მაჭავარიანი, ა. ნინუა, ი. არაქელოვი, ვ. პრავდინი, ო. კვაჭაძე, ა. კერესელიძე და ა. სუმბათაშვილი. ბრძოლას ემჩნეოდა, რომ პროკურატურის ნაკრები საგანგებოდ მომზადებულა ამ შეხვედრისათვის. თუ გასულ წელს მან განიცადა დამარცხება ანგარიშით 2:8, წელს საპატიო ანგარიშით წააგო — 4:6. აღსანიშნავია პირველთანრიგოსნის ზაიჩიკის გამარჯვება გაფრინდაშვილზე, მაჭავარიანის ყაიმი კაკაბაძესთან, ხოლო არაქელოვასი — ნაჭყებიასთან.

ტრადიციული მატჩის შემდეგ მოჭადრაკე ქალებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო ქალთა ნაკრების კაპიტანმა ე. კაკაბაძემ პროკურატურის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს გადასცა სამახსოვრო თასი.

გ. ჟორჟოლაძე

## ლ. კოლესნიკოვის მსოფლიო რეკორდი

მოსკოვში გამართულ უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრებაზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა არმიელმა ლ. კოლესნიკოვმა, რომელმაც ბრასის სტილით 100 მეტრი დაფარა 1 წუთსა და 11,4 წამში.

ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

## ფეხბურთის ქრონიკა

ამ დღეებში შედგა რამდენიმე შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

პირველი მატჩი შედგა შესარჩევი ტურნირის VIII ჯგუფში. გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები.

შოტლანდიელებმა კარგად ჩაატარეს თამაში და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 4:1.

* * *

ბრიუსელში გაიმართა დამატებითი მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში, ეს იყო „ბარსელონასა" (ესპანეთი) და „ჰამბურგის" (გფრ) მესამე ნახევარფინალური მატჩი.

„ბარსელონამ" მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა მოწინააღმდეგე და გავიდა გათამაშების ფინალში.

მეორე ნახევარფინალური მატჩი შედგა ვენაში ავსტრიის ჩემპიონს „რაპიდსა" და „ბენფიკას" (ლისაბონი) შორის.

პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის მოიგეს პორტუგალიელებმა ანგარიშით 3:0, ამიტომ „რაპიდს" სჭირდება რევანში დიდი ანგარიშით, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე დაფარებზე ეწერა — 1:1, ამ დროს მინდორზე ატყდა ჩხუბი მოთამაშეთა შორის. ინციდენტში ჩაერიენ მაყურებლებიც და მატჩი შეწყვეტილ იქნა.

ამ ნახევარფინალის საკითხს გადაწყვეტს საერთაშორისო კომიტეტის სხდომა.



თბილისელმა ფრენბურთელმა ვ. კაჭარავამ ამ ბოლო ხანებში დიდ წარმატებას მიაღწია. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია.

**სურათზე:** ვ. კაჭარავა თამაშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

რედაქტორი ი. უგულავა.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.


 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01012